პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 212 (18454) სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ. საქართველოს
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

რ ი ვ ე ლ ი — 82

ზვრებსა და მარნებში

ყოველდღიურად ქახეთის სულ უფრო მეტ სოფელში ჩაღდება რთველი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრები ამბაურდა. მერთველებს ერთი სურეული ამოძრავებთ — დროზე და უდანაკარგოდ დაამბინაონ წლის მოსავალი მარნებში.

წლევანდელ უამინდობას რაც ვადაარა, მთლიანად შეინარჩუნეს და ახლა გულუხვი რთველი აქვთ წითელწყაროელ, სიღნაღელ, გურჯაანელ და ყვარელელ მეენახეებს.

გაერთიანება „სამტრესტის“ ბოლო ცნობებით, რესპუბლიკაში მოკრეფილი და გადამუშავებული 24.322 ტონა ყურძნის საშუალო შაქრიანობა 18,9 პროცენტია. გურჯაანში მოიკრიფა 7.778 ტონა, შაქრიანობა 20,1 პროცენტია. ყველაზე მეტი სიღნაღელებმა მოკრიფეს — გადამუშავებული 8.265 ტონის საშუალო შაქრიანობა 79,3 პროცენტია, წითელწყაროელებმა მოკრიფეს 4.850 ტონა, ყვარელელებმა — 3.388 ტონა, თერჯოლელებმა — 41 ტონა. ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახებში ყურძნის შაქრიანობა 22-23 პროცენტია.

რთველის საზღვრები თანდათან ფართოვდება, საშემოდგომო შრომის ხალისიც სოფლად დღით დღე მატულობს. უხე რთველს გისურვებთ, ჩვენო მეზვრეებო და მემარნეებო! („კომ.“ კორ.).

მ ა ხ ა რს უ ბ ე ნ ე ს მ ო ს კ ო ვ ე ლ თ ა თ ა ო ს ტ ო ბ ი ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

18 დეკემბერი: კომუნისტური შაბათობა

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებების უფიფოდ და გადაჭარბებით შესრულების საქმეში.

გაერთიანების მშრომელებმა 8 თვეში გეგმის გადამეტებით 717 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს მომხმარებელს. შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდა მეათური საწარმოს კოლექტივი, რომელმაც ამავე პერიოდში გეგმის გადაჭარბებით 120 ათასი მანეთის ქსოვილი დაამზადა.

გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. მქსოველები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ მოსკოვის ლენინგრადის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას 18 დეკემბერს მოაწყოს კომუნისტური შაბათობა. ამ დღეს გაერთიანების მშრომელები გამოუშვებენ 400 ათასი მანეთის პროდუქციას, დაზოგავენ დიდი რაოდენობით ნედლეულსა და ელექტროენერგიას, მიაღწევენ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას. („კომ“. კორ.).

ტყიბული. („კომუნისტის“ საკ. კორ.). მოსკოვის ლენინგრის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას — 18 დეკემბერს მოაწყოს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა — ფართოდ გამოეხმაურნენ ტყიბულის სტალინის სახელობის მაბტის მშრომელები, ისინი სტაბილურად შრომობენ და წარმატებებსაც აღწევენ. იანვარ-აგვისტოში გეგმის გადამეტებით აქ რეალიზებულია 39 ათასი მანეთის ქუანაბრი.

საიუბილეო შეჯიბრებაში საკ. ეთესო შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ ის საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც სამთო ტექნიკოსები ქ. ჭეურაძე და ე. მაჭკიპლაძე უდგანან სათავეში. სამაგალითოდ შრომობენ ბ. შეყრელაძის, უ. სიგუას, გ. ბოჭორიშვილის, ო. სოფრომაძისა და „გ. ცირეკაძის კომუნისტური შრომის ბრიგადები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად მაბტის მეორე საექსპლოატაციო უბნის ახალ სამთო ელექტროგებზე ამ მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო ეტაპზე ბრიგადა ქეანაბშირის მომზგრავი ახალი კომბაინი, რაც საშუალებას მისცემს მაბტის კოლექტივს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ნახევარუდეი 40 ათასი მანეთის ნაცვლად 47 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას, ხოლო 18 დეკემბერს ირმრომენ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით და მოანგრიონ რამდენიმე ტონით მეტი ქეანაბშირი.

მ ძ ლ ე კ ა ვ შ ი რ ი ძ მ უ რ ი

სამარადჟამოდ ნაანდერძევი

ყოველდღე, როცა მორიგ კორესპონდენციას ვკითხულობ, თითქოს ვგრძნობ რესპუბლიკის მაჯისცემას — მკაფიოს, დინამიკურს, მტკიცეს.

ვარჩევ ფოსტას, ბევრ საყურადღებო აზრსა და წინადადებას ვინიშნავ, გონების თვალით წარსულს ვუბრუნდები: საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აზერბაიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთ-ერთი მიყრუებული სოფლის მცხოვრებისაგან მიიღო წერილი. გლეხები, რომლებსაც ის-ის იყო შეექმნათ კომუნა, მწუხარებით იტყობინებოდნენ, რომ მოუკვდათ უკანასკნელი ცხენი და მიწის დამუშავება ხელით უხდებოდათ. მაგრამ მათ ჰქონდათ იმედი, სწამდათ, რომ, თუმცა მოუცლელი იყო საბჭოთა ხელისუფლება, საღღაც მთებში მიკარგული პატარა სოფლის გლეხთა გასაჭირს იგი მაინც არ დაივიწყებდა.

უდიდესი სოციალურ-დროებრივი დისტანციაა აშორებს ერთმანეთს გაუნადგავი ხელით დაწერილ, იმ ფურცელსა და დღევანდელ წერილებს. საკითხები, რომლებსაც მათი ავტორები აყენებენ, პრობლემები, რომლებიც მათ აწუხებთ, სულ სხვადასხვანაირია: სასურსათო პროგრამის განხორციელებაში სასოფლო საბჭოების როლის გაძლიერების გზები, ინდუსტრიის სწრაფი განვითარების უარყოფითი შედეგებისაგან გარემოს დაცვის ღონისძიებანი, მსჯელობა თანამედროვე ახალგაზრდის ზნეობრივი სახის შესახებ; მაგრამ არის რაღაც საერთო იმ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ დოკუმენტსა და ახლანდელ ფოსტას შორის: როცა ჩვენი კორესპონდენტები თავიანთ აზრს გვიზიარებენ, ფიქრობენ, რაღაცას გვთავაზობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან: საბჭოები დაეხმარებიან. თითოეული ამ წერილის მიღმა წარმოგვიდგება ადამიანი, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის, თავისი ქეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად წარმოგვიდგება.

სამოც წელზნადში ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდესი გზა განვლო. როცა 1922 წელს ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის შესახებ, დელეგატებმა მისალმება უაუგზავნეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. დიდი ბელადის ნაცადი, უნარიანი ხელმძღვანელობითა და კომინტერნის დროშით, ნათქვამი იყო ამ წერილში, ამიერკავკასიის ხალხები აქ, ალმოსავლეთის კარიბჭესთან, კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა ხელისუფლებას. სსრ კავშირის სახელოვანი 60 წლისთავის წინ ენინგრი სიამაყის გრძნობით შეგიძლია ეთქვათ: რაზეც ყრილობის დელეგატები ოცნებობდნენ, რეალურად განხორციელდა ჩვენს სინამდვილეში საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობით.

ვ. ი. ლენინს სურდა აზერბაიჯანი ყოფილიყო ყოველმხრივ სანიმუშო სოციალისტური რესპუბლიკა. ბელადის განაზრები შესრულებულია. „საბჭოთა აზერბაიჯანი, წინათ რუსეთის იმპერიის ყოფილი კოლონიური განაპირა მხარე, დღეს კი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი აყვავებული რესპუბლიკა, რომელიც აშენებს კომუნიზმს, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის მძლავრ შემოქმედებით ძალას, შთამაგონებელ მაგალითს უჩვენებს ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს“.

აზერბაიჯანის სოციალისტური აწმყო თვალსაჩინოდ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის არსს. წლითიწლობით იზრდება რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, ძლიერდება მისი როლი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასა და ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში, მატულობს მისი წვლილი საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში.

ჩვენი რესპუბლიკის გეგრბე გამოსახულია ნავთობის კოშკი და ბამბის ხოკერი, მაგრამ ცხოვრებამ არსებითი შესწორებანი შეიტანა ამ სიმბოლოკაში. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში 179-ჯერ გაიზარდა. დღეს მის ინდუსტრიულ სახეს განსაზღვრავს არა მარტო ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, არამედ აგრეთვე ქიმია, სამთამადნო, ელექტროტექნიკური, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობისა და ხელსაყოფმშენებლობის, აგრეთვე ინდუსტრიის სხვა დარგები, რომლებზეც ძირითადად დამოკიდებულია ტექნიკური პროგრესის ტემპი. მუშათა კლასთან კავშირში კოოპერირებული წარმოებით დიდი წარმატებანი მოიპოვა აზერბაიჯანის გლეხობამ, რომლის ცხოვრება, ყოფა, სოციალური და სულიერი სახე მთლიანად შეიცვალა. დღეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომობენ 120 პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები. რეკონსტრუქციიდან დონესთან შედარებით სოფლის მეურნეობის შთლიანი პროდუქცია 7-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ბ. ა. ხალილოვი,
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

• •

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ საერთო ძლევამოსილი განვითარების ფონზე განსაკუთრებით შთამბეჭდავია მშრომელთა წარმატებები მეცხრე და მეათე ხუთწლედებში და მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს. ამინდების თვალსაზრისით რთული გასული წელი აზერბაიჯანის სოფლის მშრომელებისათვის რეკორდული გახდა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმები. მეგობრებმა პირველად გადააბიჯეს მილიონი ტონის ზღვარს. მოიკრიფა რა 1.707 ათასი ტონა ყურძენი, დარგის მშრომელებმა პირველი ადგილი დიაკავეს ქვეყანაში ყურძნის წარმოებითა და დამზადებით. ყველა ეს მოწონება შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის მეოხებით. ზედიზედ მეთორმეტე წელია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმატებები აღინიშნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნითელი დროშით.

საბჭოთა ხალხების ძმური ურთიერთდახმარება და ერთიანობა, რაც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების კანონზომიერება გახდა, ნათლად მოჩანს აზერბაიჯანის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის მაგალითით. ქვეყნის ყველა რაიონში, რომლებიც გაახა და ნავთობს ამუშავებენ, მუშაობს აზერბაიჯანული ნავთობსბურები მოწყობილობა, იღვწიან ბაქოს ნავთობის აკადემიის წარგზავნილები. რესპუბლიკის უდიდესი ენერგეტიკული ობიექტების — შამქორის ჰიდროკვანძისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობაზე შრომობენ ოსტატები, რომლებმაც სკოლა გაიარეს ბრატსკსა და ნურეკში. როცა ეს ობიექტები მწყობრში ჩადგება, ამიერკავკასიის ენერგეტიკული რეალის რგოლი გახდება და უბრუნველყოფს არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ საქართველოსა და სომხეთის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებსაც.

აზერბაიჯანის ინდუსტრიის პროდუქცია, რომელსაც მრეწველობის თითქმის ასი დარგი უშვებს, კარგად არის ცნობილი დასავლეთ ციმბირსა და კამის საავტომობილო ქარხანაში, საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურისა და ყაზახეთის ყამირის სივრცეებში. ამავე დროს აზერბაიჯანის ეკონომიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, წარმოუდგენელია ყოველივე იმის გარეშე, რაც სხვა რეგიონებში იქმნება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ხნის შრომითი მეგობრობა და პარტნიორობა აკავშირებთ აზერბაიჯანელ მენავთობეებსა და დონბასელ მეშახტეებს, ჩვენი რესპუბლიკისა და შუა აზიის მხვნელ-მოსავლელებს, ამერკავკასიის მშრომელებს. ამ შეჯიბრებას მოაქვს არა მხოლოდ საარქნობი მატერიალური ნაყოფი, არამედ რაზმავს კიდევ მრავალეროვან კოლექტივებს.

„ფართოდ მიაბიჯეს აზერბაიჯანი“ — ამაყად იმეორებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილები, მთელი ძალ-ღონე შთაბმარონ სკკპ XXVI ყრილობის წინასწარგამასხულობათა, პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. გრძელვადიან სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანად აღიქვეს აზერბაიჯანში სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა, რომლის შესრულება უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფ წინსვლას, რაც შოგვცემს უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიზანმიმართულ, შეთანხმებულ მუშაობაზე. რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების 50 ათასზე მეტი წარმომადგენელი, რომლებსაც შეგნებული აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა, ყოველ ღონეს იხმარს, რომ ღირსეული წვლილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის დროშაზე კიაფობს სამი ლენინის, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები. სამშობლოს ამ ჯილდოებში მაღალი სიმბოლიკაა: ლენინმა და ოქტომბერმა ახალი ფურცელი გადაშალეს აზერბაიჯანელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, უწრფენეს ნათელი მომავლის გზა. ყველა ჩვენი გამარჯვების წყარო კი გახდა სამარადჟამოდ ნაანდერძევი მომმე საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა.

60 საიუბილეო შრომითს ვახცზე

საძმემ გამოაჩინა

საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ „სოხუმხელსაწყოს“ ქარხნის პროდუქციას. სატვიფრავი საამქროს ზეინკალი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, კომკავშირის საკავშირო XIX ყრილობის დელეგატი ლუნა არძინბა შვიდი წელია ამ ქარხანაში მუშაობს და ყოველდღიურ ნორმებს 180 პროცენტიანი ასრულებს. ლუნა 1974 წელს მოიყვანა ქარხანაში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. 6 თვის ნაცვლად იგი 3 თვეში დაეუფლა ზეინკლის პროფესიას და ახლა საწარმოში თავის პროფესიაში საუკეთესოდ ითვლება.

სურათზე: ლუნა არძინბა.

ა. საბაკოვის ფოტო.

ტემპი, ტემპი, მეჩაიეებო!

ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობა 18 სექტემბრისათვის (ტონობით) გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ცნობებით

რაიონები და ავტონომიური ოლქები	გეგმა-კალენდარი	მოკრეფილია	შესრულების პროცენტი
ხელვაჩაურის	21.500	16.665	77,5
ქობულეთის	46.700	39.657	84,9
ქედის	1.800	1.020	78,4
აბაშის ასსრ	69.500	57.842	82,5
ზალის	47.000	39.672	84,4
ოზურგეთის	37.850	33.073	88,5
სოხუმის	700	638	91,1
გულრიფშის	2.800	2.498	89,2
გუდაუთის	7.150	7.101	99,3
აფხაზეთის ასსრ	97.500	82.982	87,3
მარტვილის	97.500	80.744	82,9
ჩოხატაურის	13.400	11.452	85,4
ლანჩხუთის	27.200	23.436	86,1
სამტრედიის	3.000	2.627	87,5
ფოთლეთის	10.000	8.471	84,7
ფასანაურის ს.	14.000	8.542	61
ტყიბულის ს.	12.800	10.296	80,4
ცხალაბიას	12.500	10.771	86,1
აბაშის	1.000	714	71,4
ზუგდიდის	26.300	21.056	80,7
ზუგდიდის	72.300	53.992	74,6
ფალეზნიის	33.800	25.911	76,6
ჩხოროწყუს	25.700	20.499	79,8
ხობის	10.600	9.808	92,5
თიანეთის	1.330	1.203	90,4
ბიანეთის ს.	1.100	1.228	111,1
ვანის	1.000	965	96,5
სულ			
საქართველოში	528.000	432.034	81,8

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი მთელ რიგ რაიონებში ძალზე დაბალია. გეგმა-დავალება გადამეტებით შეასრულეს ბიათურის ზონის მეჩაიეებმა. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ ხობის, ვანის, გუდაუთის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ცხაკაიას, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების მეჩაიეებს, მაგრამ მათაც მართები ტემპის დაჩქარება.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ წყალტუბოს ზონის, ხელვაჩაურის, ქედის, აბაშის, ზუგდიდის, ფალეზნიის, ჩხოროწყუს რაიონების მეჩაიეები. რესპუბლიკაში შარშანდელთან შედარებით 31.566 ტონით ნაკლები ჩაის ფოთლია მოკრეფილი.

ვ ა ქ კ ა ც ო ბ ი ს ა დ ა გ ვ ი რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

„სოიუზ ტ-7“ ხომალდის ეკიპაჟს სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადაეცა

საბჭოური კოსმონავტიკის ახალი ფურცელია „სოიუზ ტ-7“ ხომალდის ეკიპაჟის წარმატებული ფრენა, რომლის შემადგენლობაში პირველად მუშაობდა კოსმონავტი ქალი. მან კვლავ ცხადყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი შესაძლებლობანი კოსმოსის შესწავლასა და დედამიწის შეცნობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 13 სექტემბერს კრემლში კოსმოსის გმირებს სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადასცა.

მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ამ ჯილდოებს. გისურვებთ ახალ წარმატებებს დედამიწაზე და „კოსმოსში!

თავის გამოსვლაში ლ. ი. პოპოვმა ეკიპაჟის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, ლენინდ ილიას ძეს ბრეჟნევს ამისათვის, რომ ანდეს კოსმოსური ფრენის შესრულება, მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, სამშობლოს ჯილდოებისათვის.

ჩვენი ფრენა, თქვა მან, მიმდინარეობდა დღეებში, როცა XXVI ყრილობის. გადაწყვეტილებებით მთავრობული მთელი საბჭოთა ხალხი ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: კოსმოსური ფრენის პროგრამა მთლიანად შესრულდა. „სალუტ-7“ ორბიტულ სადგურში კარგი გუნება-განწყობილებით კოსმოსურ ვაზეს განაგრძობენ ანატოლი ბერეზოვი და ვალენტინ ლებედევი. მათ გეუბნოვეს გადმოგეცეთ, რომ ფრენის პროგრამას მაღალხარისხოვნად, ფრიადზე შეასრულებენ.

საბჭოთა კოსმონავტების სახელით ლ. ი. პოპოვმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას, რათა წარმატებით ითავისონ კოსმოსური სივრცე მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გადაიხადა რა მადლობა საპატიო ჯილდოსათვის, ა. ა. სერებროვმა აღნიშნა: „სალუტ-7“ საშეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ჩვენმა ფრენამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რამდენად სრულყოფილია საბჭოთა კოსმოსური ტექნიკა, თვისებრივად რა მაღალ დონეზე ავიდა იგი, რა მწვავრავლების მიღწევა შეუძლია თავიანთ ფაქტ მეშიდობიან შემოქმედებაში საბჭოთა ადამიანს.

ეს საპატიო ჯილდოები უწინარეს ყოვლისა მიგვანიშნა მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, მუშათა, სოფლის მშრომელთა, ეკონომთა, მთელი ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხის შრომის აღიარებად.

ადგილთქვამთ პატივცემულო ლენინდ ილიას ძეს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ როგორც კომუნისტი, მოქალაქე, მეცნიერი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას; გამოცდილებას მოვახმარ ჩვენი პილოტორებული კოსმოსური ტექნიკის სრულყოფას, კოსმოსური კვლევის ეფექტიანობის ამაღლებას დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩემი ხალხის საპატიო ჯილდოებს, თქვა გამოსვლის დროს ს. ე. ხაჯიკეთამ, ვუზიარებ საბჭოთა ადამიანების დიდ სამეცნიერო, ტექნიკურ, საწარმოო კოლექტივებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩვენი ფრენის ბომბზადებას და განხორციელებას. ჩემთვის, კომუნისტისათვის სასიამოვნოა მოგახსენოთ, რომ სამშობლოს დავალება, პარტიის დავალება შევასრულეთ.

ჩვენი ეკიპაჟის ფრენამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ კოსმოსური ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქალს შეუძლია აქტიურად იმუშაოს კოსმოსში, წარმატებით განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, გამოიყენოს კოსმოსური ტექნიკა.

წარმატებული კოსმოსური ფრენა შესაძლებელი გახდა და მიხსნა დასახულად განხორციელდა საბჭოთა კოსმონავტიკის განვითარებისათვის ლენინური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად თქვენი, ლენინდ ილიას ძეს, მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით. საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, მუშების შეუპოვარი შრომით შეიქმნა სრულყოფილი, სამედო კოსმოსური ტექნიკა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქალს მოეხდინა რვა დღე-ღამის ფრენა ეკიპაჟის შემადგენლობაში.

როცა კოსმოსში მუშაობ, ხედავ რა შესანიშნავი, მე ვიტყოდი, დიდებული და ამასთან დაუცველია ჩვენი პლანეტა. და გასაკვირვებელი ღრმად გესმის შვიდობისასთვის იმ დაუცხრომელი ბრძოლის ფასი, ამ ბრძოლისა და აუცილებლობა, რომელსაც ეწევიან ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა და ეწევიან პირადად თქვენ, ძვირფასო ლენინდ ილიას ძეს. ქვეყანად უმშვიდობოდ შეუძლებელია ბედნიერებაც, საყვარელი შრომის სიხარულიც.

მზად ვარ შევასრულო სამშობლოს ყოველი დავალება საბჭოური კოსმონავტიკის ახალ გამარჯვებათა სადიდებლად.

გამოსვლები ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

ლენინშესანიშნავი მოვლენის სამახსოვროდ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს გადასცეს ორბიტულ საშეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ხუთი კოსმონავტის მიერ ხელმოწერილი ცნობა ერთობლივი ფრენის შესახებ.

ეკიპაჟის წევრებს გულთბილად მიუღიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ი. თ. დმიტრიევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გორკაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომელ ა. ი. ბლატომამ, ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის უფროსმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ტ. ბელეგოვომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ. (ს

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ჩვენი სოფლის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული მათ წინაშე მდგომი ამოცანების მთელი სერიოზულობა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოვალეობას.

არის ფაქტები, როდესაც ერთგვარ პირობებში, ერთიმეორის გვერდით მომუშავე ორ კოლექტივს სრულიად განსხვავებული შედეგები აქვს. ერთნი წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ საქმეს, მეორენი კი ჩამორჩენილთა შორის არიან.

რა არის ამის მიზეზი? რატომ ძნელდება ჩამორჩენისაგან თავის დაღწევა, როდესაც მოწინავეთა გამოცდილებისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო და იგი იქვე, ხელის განწვდენაზეა?

ქვემოთ გამოქვეყნებული ორი პარტიული ჯგუფის კრების ანგარიში ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ერთგვარი ცდაა.

ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეცხოველეობის ფერმაში კრების დაწყებამდე დაგვათვალიერებინეს პირუტყვის ზამთრის სადგომები, რომელთა შეკეთებაც უკვე მოასწრეს, საკვები კი უკვე წლინახევრის მარაგი დაუგროვებინათ ფერმასთან. გეგმით გათვალისწინებული 996 ტონის ნაცვლად 1.451 ტონა უხეში და წვნიანი საკვებია დამზადებული. თივისა და ნამჯის დამზადება გრძელდებოდა. აქ ყოველთვის ასე დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან საკვებს ამზადებენ პირუტყვისათვის. სწორედ ამის შედეგია, რომ მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება როგორც პირუტყვის სულადობა, ისე მისი პროდუქტიულობა. წელს რვა თვეში ერთ საფურაჟე ძროხაზე 2.050 კილოგრამი რძე მიიღეს ნაცვლად შარშანდელი 1.897 კილოგრამისა, ...

...დებიან. ი. წიქარიშვილმა კოოპერირების წესით საზოგადოებრივი მეურნეობიდან გამოიყვანა და გამოსაზრდელად გაიპიროვნა 2 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული და 4 სული ღორი. კომუნისტი თ. მოსიძე თავის დამხმარე მეურნეობაში ზრდის 6 ღორს, ს. ბალასანიანი — 2 ღორს და სხვ..

საზოგადოებრივ მეურნეობასთან კოოპერირებაში ჩაბმულია სულ 45 ოჯახი, რომელთა საკარმიდამო დამხმარე მეურნეობაშიც სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად ზრდიან 85 ღორს და 21 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. ამით წელს სახელმწიფოს დამატებით მისცემენ სულ ცოტა 15 ტონამდე ღორისა და საქონლის ხორცს.

ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეცხოველეთა მიღწევები კარგად არის ...

ზეიმი, რომელიც მუდამ თან გახლავს

გარიგებისაარჩევნო კრების მუშაობაში, თქვეს, რომ წელსვე აქ, მთაში აითვისებენ 20 ჰექტარამდე მიტოვებულ მიწას, სადაც დათესავენ ხორბალს და მრავალწლოვან ბალახს — ესპარცეტს, რაც ყოველწლიურად დამატებით 100 ტონამდე თივას ან 200 ტონამდე მწვანე სასენაჟე მასას მისცემს კოლმეურნეობას. ბარში კი მდინარე მტკვარზე მალე მწყობრში ჩადგება წყალსაქაჩი, რომელიც გასარწყავებს მდინარის პირა სახნავ-სათესებს, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს მარცვლეულისა და სხვა საკვები კულტურების ...

ერთობის, ძმობის თვალწარმტაცი თაიგული გაიფურჩქნა რუხის ციხის ძველთაძველ გალავანთან საქართველოს ახალგაზრდობის მეგობრობის ტრადიციულ დღესასწაულზე. აქ, ლეგენდარული ნალამის მიწაზე კვლავ მოიყარა თავი რესპუბლიკის ხიჭაბუკემ, რათა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ ერთგულება ქართველი და აფხაზი ხალხების, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი ძმობისადმი.

თაობათა
წმიდათაწმიდა
მემკვიდრეობითობა

რუხის დღესასწაულის დაფუძნებიდან გასულმა სამმა წელიწადმა კეთილი კვალი გაავლო. ტანი აიყარეს, ფესვი გაიდგეს ახალგაზრდა კვიპაროსებმა ნესტორ ლაკობას სახელობის მე...

ღვანელობს, თავისი სახელგანთქმული მეტოქე გამოიწვია. ახალსოფლელებმა სტუმრად მიიპატიჟეს აფხაზი მეგობრები და უამბეს მათ თავიანთი მეურნეობის სახელოვანი ტრადიციების შესახებ, მეურნეობისა, რომელმაც 51 სოციალისტური შრომის გმირი აღუზარდა სამშობლოს, ილაპარაკეს კოლმეურნეობის მშრომელთა დღევანდელ მიღწევებზე— ახალსოფლელები ხომ მტკიცედ ...

განმავლობაში სხვადასხვა ეროვნების ქალიშვილებისა და ჭაბუკების მეგობრობა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ თავიანთ დღესასწაულზე.

რუხში გამართულ პირველ დღესასწაულზე შეხვდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ ინგა ხვიტია ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან და რიმა გუმბა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიდან. ინგა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, აღტაცებული იყო თავისი ახალი აფხაზი დობილით — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატით, მისი რგოლის მუშაობით, რომელიც ყოველწლიურად ჩაის რეკორდულ მოსავალს იწევდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ინგამ მიებაძა დობილისათვის — დარჩენილიყო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში, ჩამოეყალიბებინა მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი და შე...

ლმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი მერაბ კოკოჩაშვილი და ამ სტუდიის კინორეჟისორი გურამ პატარაია, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი მერი დავითაშვილი, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი მწერალი არჩილ სულაკაური, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რე...

ვის სამთო ... კინმა. — ... ჩვენი ... ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ამდენი ახალი მეგობარი შევიძინე. ბევრია ისეთი, ვისაც შეიძლება გაუზიარო წარმატებები, უამბო შენი ბრიგადის წევრებზე. აი, გავიცანი ახალგაზრდა ზუგდიდელი მეჩაიე ვახტანგ ქარჩავა, ის მეჩაიეა, მე — მეზახტე. საუბრისას კი გაირკვა, რომ ...

ქალო, ქილის ხარ

ძველი ...

და სიტყვა საქმედ გარდაიქმნება

პირობები ერთნაირი, შედეგი სხვადასხვა...

... რების შედეგებს. ყოველი კვარტალის ბოლოს კი გამარჯვებულებს გადასცემენ დაწესებულ სამახსოვრო საჩუქრებსა და ფულად ჯილდოებს.

ფერმის კომუნისტები მარტო საზოგადოებრივ მეურნეობაში მიღწეულ წარმატებას როდი სჯერ...

... ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის.

კოლმეურნეობის ახალმა თავმჯდომარემ მ. ივანიძემ და პარტბიუროს მდივანმა ა. ივანიძემ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფერმის პარტიული ჯგუფის საან...

... თიანება და ყველა სათანადო ორგანიზაცია. საქმედ გარდაქმნილი სიტყვა კი აწყვიტელ კომუნისტთა მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდმნიშვნელოვანი სტიმული

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესასყიდი ფასების სრულყოფისათვის

ნკრეტული ღონისძიებანი.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ზარალიანი და მცირერენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისა და მათი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საჭირო რენტაბელობის დონის უზრუნველსაყოფად სხვა ღონისძიებებთან ერთად განსაზღვრულია 1983 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების გადიდება და ამ ფასების დანამატის შემოღება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნებისათვის წელიწადში 16 მილიარდი მანეთი გამოიყოფა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაის...

ლა მოკავშირე რესპუბლიკის შესასყიდ ფასებს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოქმედი შესასყიდი ფასები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შეადგენს მანეთსა და 57 კაპიკს, სომხეთის რესპუბლიკაში — მანეთსა და 70 კაპიკს, შესაბამისად ღორისა — 2 მანეთსა და 17 კაპიკს და 2 მანეთს და 16 კაპიკს.

ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილი არ უნდა იყოს ჩვენი სოფლის მოსახლეობის თავშეკავება სახელმწიფოსათვის პირუტყვის მიყიდვის საქმეში. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ დღეს მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ...

კუთრების პირუტყვის დაკვლის მავნე პრაქტიკამ, შარაგზებსა და საავტომობილო მაგისტრალებზე ხორცის ვაჭრობამ. ყოველივე ეს კანონით სასტიკად აკრძალულია. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს ეპიზოოტიურ დაავადებათა გავრცელებას და ქმნის მოსახლეობაში ინფექციურ ავადმყოფობათა გაჩენის საფრთხეს (ციმბირის წყლული, ბრუცელოზი, ცოფი და სხვა) ამასთან ფართო გასაქანი ეძლევა ქორვაჭრობასა და სპეკულაციას. ასეთი გზით გაყიდული საქონლის ხორცი არ ხვდება სტატისტიკის ...ში, ამასთან ხშირად ნადგურდება სანაშენედ ვარგისი მოზარდეული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვ...

... ფლის მშრომელთა შრომის ანაზღაურების გადიდებითა და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანა-იარაღების, მასალების საბითუმო ფასების ზრდით და სხვა ობიექტური ფაქტორებით. ყოველივე ამის გამო საჭირო ხდება სისტემატურად სრულვყოფდეთ შესასყიდ ფასებს. 1976 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა სახელმწიფო შესასყიდი ფასები: მარცვლეულისა — 7,8 პროცენტით, მეცხოველეობის პროდუქტებისა — 3 პროცენტით; სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1979 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა შესასყიდი ფასები; რძისა და რძის პროდუქტებისა — 14 პროცენტით, ცხვრის და თხის ხორცისა ...

რ. კაკულია,

კ. მარქსის „კაპიტალი“ და თანამედროვეობა

ახლა ეწყობა საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გახსნილ ლიტერატურის გამოფენას, რომელიც მიეძღვნა კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოსვლის 115 წლისთავს.

ექსპოზიციის ცენტრალურ სტენდზეა, ვ. ი. ლენინის თქმით, „უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაწარმოების“ პირველ გამოცემათა უნიკალური ეგზემპლარები. აქ არის 1872 წელს ჰამბურგში გერმანულ ენაზე დასტამბული „კაპიტალის“ პირველი ტომი, აგრეთვე გამოცემები რუსულ, უკრაინულ, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა ენებზე.

მდიდრულად არის აგრეთვე გაფორმებული სტენდები: „ვ. ი. ლენინისა და ფ. ენგელსის შრომები „კაპიტალის“ შესახებ“, „კ. მარქსის „კაპიტალის“ მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის“, „კ. მარქსის „კაპიტალის“ ქართულ ენაზე თარგმნისა და საქართველოში გავრცელების შესახებ“ და სხვ.

(საქინფორმი).



Салам, гардаш Азэрбајҹан!

გამარჯობა, მოძმე აზერბაიჯანო!

მთვარე ამოდის ბადრა,
ლამაზო, მთვარეს გადრი,
ბედნიერია კაცი,
თუ იცის შრომის ყადრი.

აზერბაიჯანული ბაიათი.

თბილისიდან ბაქომდე საკმაოდ მოზრდილი გზაა, ამიტომაც გზას აზერბაიჯანის დედაქალაქისაკენ დილაუთენია ავილეთ.

უცნაური კაცია ჩვენი ავტომანქანის მძღოლი თემური. კარგა ხანს ხმას არ იღებდა, მერე კი სიმღერა წამოიწყო და ბაიათი ისე გააგრძელა, ლამის გული გაგვიწყალდა.

— თუ ძმა ხარ, აგვიხსენი, რას გვაუწყებს ეს ბაიათი? — შევეკითხეთ თემურს.

— ცაში მოყრანტალე ყორანი როგორ შეიგრძნობს ვარდის სურნელს?! ვისაც თავისი საკუთარი ღირსება არ გააჩნია, განა შეუძლია სხვისი დიდება შეაფასოს? — გვიპასუხა მან.

საგულისხმო რამ გვენიშნა მძღოლის სიტყვებში...

პირველი შთაბეჭდილებანი: ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ბოლო ხანებში აზერბაიჯანელებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მევენახეობის განვითარებას. იმ დილით კი თავად ვიხილეთ მათი გარჯის ნაყოფი. გზის ორივე მხარეს ბოლო არ უჩანდა კარგად მოვლილ და დამუშავებულ ზვრებს.

ქართველებისათვის ვაზი ხომ ყველაფერია და რაოდენ სასიხარულოა, რომ მეგობრებიც ტოლს არ გვიდებენ ვენახის მოვლა-პატრონობაში. ეს ყოველივე კარგია, მაგრამ სინანულით ვიგონებთ, რომ წლეულს იმ დასაქცევმა სეტყვამ ჩვენი ზვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაგვიზიანა..

ვენახთან ერთად თვალს იტაცებს ხეხილის ბაღები, საზამთრო და ნესვი, განსაკუთრებით ბროწეული.

შეიძლება ითქვას, მთელი აზერბაიჯანი მშენებლობის ხარაჩოებშია ჩასმული. თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ გულდაგულ შენდება — საცხოვრებელი სახლები, სოფლები და დაბები, ქალაქები.

მალე იმის საშუალებაც მოგვეცა, ნათლად შეგვეგრძნო დღევანდელი აზერბაიჯანელის გულღია ხასიათი, სტუმართმოყვარეობა და შესანიშნავი მასპინძლობა, მისი განათლების დონე, კულტურა და სულიერი განვითარების სიღრმე.

...ავტომანქანამ სისწრაფეს უმატა. მოულოდნელად გზის პირას გაჩერებული საბარგო ავტომანქანა შევნიშნეთ. წინ ორნი გადაგვიდგნენ და გვთხოვეს, მანქანა გაგვიფუჭდა, იქნებ როგორმე ერთ-ერთი ჩვენგანი ბაქომდე წაგვიყვანოთო... ასე გავიცანით ახალგაზრდა მშენებელი ინჟინერი, რესპუბლიკის ერთ-ერთი სამშენებლო-სარემონტო კანტორის სამუშაოთა მწარმოებელი მაიაზ ბაბაევ ჯანგირ-ოღლი. როცა ჩვენი ვინაობა და სტუმრობის მიზანი შეიტყო, ვრცლად გაგვაცნო ბაქოს ინდუსტრიული და კულტურული ცხოვრება, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებები. შემდეგ პოეზიასაც გადასწვდა: ნიზამი და ახუნდოვი, შირვანი საბირი, სამედ ვურღუნი და მამედ საგიმი, სულეიმან რუსტამი და რასულ რზა — ყველა მათგანი ერთი წიგნივით გადაშალა ჩვენ წინ და საუბარი ამ თემაზე სამედ ვურღუნის ერთი მშვენიერი ლექსის სტრიქონებით დაამოლოვა:

„მო, მეგობრებო!
თქვენზე გული არსად
შემცვლია,
ალაჩუხივით დგას ჩემს ბაღში
ლამაზი თუთა.
ხელს ჩამოგართმევთ
მე მის ჩრდილში, თბილს
და ცეცხლიანს,
თქვენთვის გულის და სახლის
კარი
ღია მაქვს მუდამ“.

— კი, მაგრამ შენ ხომ ლიტერატორი არა ხარ, საიდან იცნობ ამდენ პოეტს?

— ხომ გახსოვთ რასულ გამზატოვმა რა თქვა — კაცი არაპოეტი არ არსებობსო, სულით ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად პოეტია. კაცს პოეზია ძვირფასი ყონაღივით არ შეიძლება ერთხელ მაინც არ გესტუმროს.

ჩვენმა დიალოგმა კვლავ საქმიანი ხასიათი მიიღო და მაიაზმა ბევრი რამ გვიამბო აზერბაიჯანულ მეცნიერებასა და სწავლულებზე, მსოფლიოში ცნობილ აქაურ ქიმიკოსთა, ბიოლოგთა, მათემატიკოსთა, გეოგრაფთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიღწევებზე...

ღია გვაქვს გულის და სახლის კარი

ასეთი გულითადი საუბრით მივუახლოვდით ბაქოს...

ბედნიერი აზერბაიჯანელები: პირველი შეხვედრები ბაქოში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გვქონდა. რედაქტორი რაშიდ მახმუდოვი და რედაქტორის მოადგილე რაფაილ ნაგიევი (მას თბილისიდან ტელეფონით დავუკავშირდით) დილიდანვე გველოდნენ.

სასტუმრო „აზერბაიჯანში“ დავბინავდით. აქედან ხელისგულივით ჩანს კასპიის ზღვა, მის გარშემო მდებარე მშვენიერი პარკი და ბაქოს სხვა თვალწარმტაცი სანახაობანი.

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში შემავალ და ჩამორჩენილ ხალხებს თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნა. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას. სოციალიზმმა სავსებით გადაჭრა აზერბაიჯანელი ხალხის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ისტორიული ამოცანა.. სწორედ ამ დღისათვის იბრძოდნენ აზერბაიჯანის საუკეთესო შვილები. XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა ბაქოში პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები, რასაც ხელი შეუწყვეს რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებულმა რუსმა რევოლუციონერმა-დემოკრატებმა.

აზერბაიჯანელ რევოლუციონერთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მეშადი აზიზბეკოვი, რომელმაც რევოლუციური ბრძოლის სკოლა რუსეთში გაიარა. ამ საუკუნის გარიჟრაჟზე შეიქმნა რსდმპ ლენინურ-ისკრული ბაქოს კომიტეტი, რომელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ ლ. კეცხოველი და ვ. სტურუა. სწორედ ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით დაარსდა 1901 წელს ბაქოში არალეგალური სტამბა „ნინო“, სადაც იბეჭდებოდა ლენინური „ისკრის“ ნომრები და სხვა მარქსისტული ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ბაქოს სტამბა თითქმის მთელ რუსეთს აწვდიდა „ისკრას“.

პირველყოვლისა, მუზეუმად ქცეული სწორედ ეს სტამბა გვაინტერესებდა. სასტუმროში ცოტა ხნის შესვენების შემდეგ სტამბას მივაკითხეთ. სამწუხაროდ, ამჟამად სტამბაში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს და დროებით დახურულია.

ბაქოს მშრომელები წმინდად და სათუთად ინახავენ მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ხსოვნას. ბაქოს 26 სახელოვანი კომისრის — ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, მ. აზიზბეკოვის, ი. ფიოლეტოვის, მ. ვეზიროვის და სხვათა ხსოვნის უკვდავსაყოფად გაშენებულია სკვერები და ბაღები. ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზეა დადგმული ა. ჯაფარიძის ძეგლი და გაშენებულია მისი სახელობის სკვერი.

ქართველ ხალხს ისტორიული მეგობრობა აკავშირებს აზერბაიჯანელ ხალხთან. სწორედ ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქში თბილისის პროსპექტია.

ბაქოში ბევრი ქართველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ადრეულ წლებში აქ ქართული თეატრალური დასიც კი არსებობდა.

— დღესაც ბევრი ქართველი ცხოვრობს და შრომობს ბაქოში, — ამბობს რაფაილ ნაგიევი, — ერთი მათგანი რომან ბუსკივაძე ჩემი უახლოესი მეგობარია, იგი ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო საწარმოს საამქროს უფროსია.

სასტუმროში შევხვდით ბაქოელ ფარმაცევტს იზოლდა ორაგველიძეს, რომელიც ბაქოში დაიბადა და აღიზარდა, აქ ეზიარა ცოდნას, მამამისი ვარლამ ორაგველიძე ომის შემდეგ გადმოსახლდა გურიიდან ბაქოში. იგი ამ ოთხი წლის წინათ გარდაიცვალა. უმცროსი და ნათელა პიანისტია.

საღამოს ჩვენმა მასპინძელმა გერმანელი და აფრიკელი ჟურნალისტების დელეგაციასთან ერთად მიგვიწვია ბანკეტზე. აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობს მდივანმა გაჯი გაჯიევმა საქართველოს სადღეგრძელო ცალკე შესთავაზა უცხოელ სტუმრებს.

სტუმრად ნევთეჩალის რაიონში: — ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების მაჯისცემა თუ გინდათ შეიგრძნოთ, ნევთეჩალის რაიონს უნდა ესტუმროთ, — გვითხრა კვირა დღეს რაფაილ ნაგიევმა და იმ რაიონში წაგვიყვანა, სადაც მტკვარი კასპიის ზღვას ერთვის: ას ორმოცდაათამდე კილომეტრი გავიარეთ ბაქოდან და მწვანეში ჩაფლულ სოფელ ყარაიმამედს მივადექით. ამ სოფლის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობას საქვეყნოდ ცნობილი კაცი, სოციალისტური შრომის გმირი ნურუშ ალიევი თავკაცობს. სოფელი ძირითადად მებამბეობით არის განთქმული, მაგრამ აქ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც მოჰყავთ. კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი შენობა პირდაპირ ხილის ბაღშია მოქცეული. თვალს იტაცებს ატმისა და ქლიავის, ვაშლისა და მსხლის დახუნძლული ხეები.

რაფაილ ნაგიევთან ერთად გვახლდა ამავე გაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი აფგან ასკეროვი, რომლის მოთხრობები და რომანები მკითხველთა მოწონებას იმსახურებს. სხვათა შორის, აფგანმა იმ დღის სენსაციური ამბავი გვაუწყა: 12 წლის ბაქოელმა ყმაწვილმა კონსტანტინე სლავინმა ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდა ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტში. პირველ წერითს გამოცდაზე ფიზიკაში „ფრიადი“ მიიღო და უკვე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. კონსტანტინემ მედლით დაამთავრა ბაქოს 59-ე საშუალო სკოლა. იგი სკოლაში ხუთი წლისა შევიდა. ორ წელიწადში ოთხი კლასის პროგრამა დაძლია. იგი სისტემატურად მონაწილეობდა ფიზიკისა და ქიმიის ოლიმპიადებში და პრიზებს ღებულობდა. თორმეტი წლისამ დაასრულა საშუალო სკოლა და გახდა სტუდენტი. კ. სლავინი წარმატებით ეუფლება უცხო ენებს, განსაკუთრებით აინტერესებს იაპონური ენა.

კონსტანტინეს დედა აზერბაიჯანელია, მამა კი რუსი. იგი ნამდვილი ფენომენია, — ასე დაამთავრა თხრობა აფგანმა.

ყარა-იმამში შევხვდით ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის დირექტორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ აბულფას კასიმოვს, რომელიც აქ სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა.

— დასანანია, რომ დღეს ადგილზე არ იმყოფება ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე. მან ჩვენზე უკეთ იცის თავისი საქმე, მაგრამ რა გაეწყობა, მასპინძლობა არც ჩვენ გვეშლება, — გვითხრა მან და მასპინძელთ თვალით რაღაც ანიშნა.

აბულფას მადლობა მოვახსენეთ, ავჩქარდით, რადგან ვიცოდით, რომ პარტიის ნევთეჩალის რაიკომის ხელმძღვანელები გველოდებოდნენ.

ძმური სიყვარულით შემოგვეგება პარტიის ნევთეჩალის რაიკომის პირველი მდივანი სეიდოვ ვილოდ მამედ-ოღლი.

— ჩვენი რაიონი ახალია. მხოლოდ 1980 წელს შეიქმნა, — გვეუბნება იგი, — რაიონის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობასთან ერთად მრეწველობასაც უჭირავს. სოფლის მეურნეობა, პირველყოვლისა, წარმოდგენილია მებამბეობით. შარშან ნაცვლად 25 ათასი ტონისა სახელმწიფოს მივყიდეთ 43.500 ტონა ბამბა, ხოლო წლეულს, ვფიქრობთ, ეს ციფრი 50 ათასს გადავაჭარბოთ. ხორბლის მოსავალი 9700 ჰექტარზე ჩვიდმეტ დღეში ავიღეთ. თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 40 ცენტნერი ხორბალი, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში გაცილებით მეტი — 56-57 ცენტნერი.

სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად განსაკუთრებულ ყურადღებას მეცხოველეობას და მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცებას ვუთმობთ.

ამ მხრივ ჩვენ აურაცხელი რეზერვები გვაქვს და ქართველი მეცხოველეებიც სარგებლობენ ამ სიკეთით.

ჩვენს ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მდიდარი გამოცდილება. როგორც ცნობილია, ტერიტორიული აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების თქვენებური ქართული მოდელი დაედო საფუძვლად სოფლის მეურნეობის მართვის რაიონულ ორგანოებს, რომლებიც მთელ ჩვენს ქვეყანაში იქმნება. ამ მხრივ, უპირველესად, დიდი გულისყურით ვეცნობით აბაშის, მახარაძის და თქვენი რესპუბლიკის სხვა რაიონების გამოცდილებას. ვფიქრობთ, მათი მაგალითისამებრ ჩვენც გადავიდეთ ახალ სისტემაზე.

შემდეგ მდივანი გვესაუბრა რაიონის მრეწველობის მუშაკთა წარმატებებზე. აქ აწარმოებენ დიდი რაოდენობით ნავთობსა და გაზს, აგრეთვე იოდსა და ბრომს, განსაკუთრებით საყურადღებოა თევზის მდიდარი მრეწველობა, შენდება ევროპაში უმძლავრესი იოდ-ბრომის ქარხანა, იგება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

რაიკომის მდივანს მადლობა მოვახსენეთ საინტერესო საუბრისათვის და ჩვენი მხრივ გავაცანით საქართველოს მშრომელთა მიღწევები.

ნაშუადღევს თევზის სარეწებს ვეწვიეთ, კატარღით დავუყევით კასპიის ზღვამდე მდინარე მტკვარს. ყველგან გვათბობდა მასპინძელთა ყურადღება და პატივისცემა.

ბაქოში მოვინახულეთ კინოსტუდიის დირექტორი, ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი, მწერალი და მოღვაწე ჯამილ ალიბეკოვი. იგი გვესაუბრა აზერბაიჯანელ კინომატოგრაფისტთა ბოლოდროინდელ ნამუშევრებზე. ჯამილი ახლახან კურორტ წყალტუბოში მკურნალობდა და დიდად კმაყოფილია იქ გაწეული მომსახურებით.

— ახალი რომანი დავამთავრე, ძალიან დავიღალე, მაგრამ იმდენად ძლიერია წყალტუბოში მიღებული შთაბეჭდილებანი, — თქვა მან დასასრულ, — რომ არ შემეძლო არ გადმომეცა ეს მხატვრულ ნარკვევში, რომელიც მთლიანად საქართველოს ეხება. იგი მალე დაიბეჭდება.

ბევრი რამ ახალი შევიტყვეთ მოძმე აზერბაიჯანელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ახლა მთელი რესპუბლიკა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. იგრძნობა იგი წინსვლასა და ზრდაში, უკეთესი მომავლისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

დ. გედენიძე,
ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

მოძმე აზერბაიჯანში



● აზერბაიჯანის სსრ სახალხო პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი სულეიმან რუსტამი.

● ცნობილი მენავთოვე, სოციალისტური შრომის გმირი აკოფ ამანოვი.

● ქ. ბაქოს ერთ-ერთი კუთხე.



● გოგონები წყაროსთან.

● მოწინავე მებამბე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თარხან მუსაევა.

● ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე ფორმან ჯაფაროვი.

● ბამბის მექანიზებული ალება.

მოძმე აზერბაიჯანში

მეგობრობის მერიდიანები

აზერბაიჯანი—საქართველოს, საქართველო—აზერბაიჯანს

აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს ოდითგანვე დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. იგი სოციალისტურმა წყობილებამ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და სამუდამოდ განამტკიცა.

ამისათვის საკმარისია მეცხრე და მეათე ხუთწლედების ეკონომიკურ ურთიერთობასაც გადავხედოთ. საქონელგაცვლის ოდენობამ თითქმის 600 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის ფარგლებში ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მიწოდება გადიდდა 3-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მოწყობილობისა — 2,5-ჯერ, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა — 3-ჯერ, ხოლო კვების მრეწველობის პროდუქციისა — 2,4-ჯერ.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა მოძმე საქართველოს სახალხო მეურნეობას და მოსახლეობას ყოველწლიურად აწვდის 1,1 მილიონ ტონა ლითონის მილებს, 2,3 მილიონ ტონა სხვადასხვა ნავთობპროდუქტს, 9,5 ათას ცალ ავტოტრაქტორის საბურავს, 1,5 ათას ტონა სინთეტიკურ კაუჩუკს, 4 ათას ტონა ლაქ-საღებავს, 2 ათას კვადრატულ მეტრ ფანჯრის მინას, დაახლოებით 12 ათას ცალ საყოფაცხოვრებო კონდიციონერს, 10 ათას ცალ მაცივარს, 5 ათას კვადრატულ მეტრ ხელოვნურ ქსოვილს, 10 ათას ტონა ზეთს, მილიონ დეკალიტრ ღვინოს, 5 მილიონი მანეთის საიუველირო ნაწარმს და ა. შ.

თავის მხრივ საქართველოს სსრ აზერბაიჯანს ყოველწლიურად აწვდის 125 ათას ტონა შავი ლითონის მასალებს, 16 ათასი ტონა ფოლადის მილებს, 6 ათას ტონა ფეროშენადნობს, 165 ათას ტონა აზოტოვან სასუქებს, 950 ათას კვადრატულ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს, 2 ათას ტონა ჩაის პირველად ნედლეულს და ა. შ. საქართველოსა და აზერბაიჯანში, როგორც ომამდელ ხუთწლედებში, ისე ომის შემდგომ პერიოდში, იქმნებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, რომელთა პროდუქცია მათს მეურნეობას დააკმაყოფილებდა. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ გაგლინულ ლითონს ფოლადის მილების სახით ძირითადად აწვდიან კავკასიის ნავთობის მრეწველობას, ხოლო სორტულ ნაგლინს ამიერკავკასიის რესპუბლიკები გამოიყენებენ მანქანათსაშენებელ საწარმოებში და მშენებლობებზე.

მხოლოდ ციფრები

● აზერბაიჯანის სსრ მოსახლეობამ 1982 წლის დამდეგისათვის შეადგინა 6,3 მილიონი კაცი. 60 წლის განმავლობაში იგი 70-ზე მეტი პროცენტით გაიზარდა. აზერბაიჯანში არის 68 ქალაქი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა.

● მხოლოდ შარშანდელ წელს აზერბაიჯანის სსრ ეროვნული შემოსავალი 6,5 პროცენტით გაიზარდა. მისმა აბსოლუტურმა მატებამ 500 მილიონი მანეთი შეადგინა.

● აზერბაიჯანის ინდუსტრიის მიერ გამოშვებული 350 სახეობის ნაწარმი მსოფლიოს 80 ქვეყანაში იგზავნება.

● ერთ დღეში აზერბაიჯანში აწარმოებენ იმდენ ელექტროენერგიას, რამდენის წარმოებისათვის 1922 წელს ოთხი თვე სჭირდებოდათ.

● აზერბაიჯანის ისტორიაში პირველად 1981 წელს დაამზადეს მილიონ 15 ათასი ტონა ნედლი ბამბა. რეკორდული მოსავალი მიიღეს მევენახეებმაც: მილიონ 707 ათასი ტონა.

უფრო ხშირად გაიღიმეთ

ასაკი — 142 წელი

შრომას შეჩვეული მარდი ხელები ოსტატურად ართავს ძაფს, რომლისაგან მომავალი ხალიჩის ნახაზი ისახება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსტატი 142 წლისაა.

ასაკმა ვერ შეუცვალა ჩვეული დღის განრიგი აფრუზ ჰასანოვას. ძველებურად რამდენიმე საათს ატარებს პატარა საქსოვ დაზგასთან. არ არის სოფელ აგეირში ახალდაქორწინებულთა ოჯახი, რომლისათვისაც ბებია აფრუზს ქორწილში ხალიჩა რომ არ ეჩუქებინოს. ა. ჰასანოვა ოჯახშიც მუშაობს. აცხობს პურს, უყვარს ბადიშიშვილთა შექცევაც, ბოსტანში ფუსფუსიც.

ბებია აფრუზი თითქმის მთელ დღეს ჰაერზე ატარებს, საღამოობით კი ხშირად ზის ტელევიზორთან. იგი დიდად აფასებს ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. წინაამდეგი არ არის გაიქროლოს შვილიშვილის „ჟიგულით“, როცა სურს ინახულოს რომელიმე თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის ას ოცი წარმომადგენლიდან. თითქმის ყოველდღე რეკავს ტელეფონით მთიან ლერიკში, სადაც მისი 90 წლის ქალიშვილი ცხოვრობს, სიცოცხლის მეტი ნაწილი დღეგრძელმა ტალიშის მთებში გაატარა, მაგრამ 30 წლის წინათ მისი ოჯახი მილის ველზე გადასახლდა.

— შრომამ შეუწყო ხელი მას უმტკივნეულოდ შეგუებოდა ცხელ ველს, — თქვა პროფესორმა მ. სულთანოვმა, რომელიც თვალყურს ადევნებს უჩვეულო პაციენტის ჯანმრთელობას.

ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ, გვითხრა ექიმმა, აზერბაიჯანში ახლა, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, 70 წელს მიაღწია. დადგენილია, რომ ამ ხნის მანძილზე ადამიანის ორგანიზმი სრულად არ იყენებს ყველა თავის ბიოლოგიურ რეზერვს. ადამიანებს რომ გაცილებით დიდხანს სიცოცხლე შეუძლიათ, ამას მოწმობს, კერძოდ, აზერბაიჯანის მაგალითი, სადაც თითქმის 2.500 კაცი ასი წლისა და უხნესია. მოსახლეობის ყოველ ასი ათასზე გაანგარიშებით, მსოფლიოში ეს უმაღლესი მაჩვენებელია.

— დღეგრძელებს შეხვდებით რესპუბლიკის ნებისმიერ რაიონში, — გვითხრა მ. სულთანოვმა და გვიჩვენა აზერბაიჯანის რუკა, რომელზეც პატარ-პატარა წითელი დროშები იყო დამაგრებული. ყველაზე მჭიდროდ არიან ისინი განლაგებული ყარაბახის ტერიტორიაზე, მაღალი და მწვანე მთების მხარეში, — მაგრამ რელიეფს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია სხვა რამ: ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობენ და აქტიურობას ინარჩუნებენ, როგორც წესი, ადამიანები, რომლებიც უნარიანად უხამებენ ერთმანეთს შრომასა და დასვენებას, ეწევიან მოძრავ ცხოვრებას, არა აქვთ შეზღუდული მენიუ. ბევრი დღეგრძელის სიცოცხლის ხანგრძლივობა თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ მთავარია დინჯი ხასიათი, სიმშვიდე, მოთმინება, კეთილმოსურნეობა.

საერთოდ კი, თუ გსურთ დღეგრძელობა, უფრო ხშირად გაიღიმეთ.

ესტაკადები, ესტაკადები...

ათობით ჭაბურღილი გაუყვანია მ. ლამბაროვს. იგი ათვისებდა ყარადაღის გაზის მადრევნებს, ითვისებდა სანგაჩალის ზღვის ყამირს. როცა აქ ნაპირიდან ზღვაში ჯებირი გაიყვანეს, ოსტატმა პირველი ჭაბურღილი გაბურღა. შემდეგ ჯებირიდან ტალღებზე გაიჭიმა 30 კილომეტრი სიგრძის ესტაკადა. და აქაც პირველი ჭაბურღილი მიანდეს ლამბაროვს.

მას ესტაკადისპირა მოედანზე შევხვდით.

— როცა მოედნის ბურღვას ვიწყებდით,—თქვა მან, — ჭაბურღილის სიღრმე 3 ათასი მეტრი თუ იქნებოდა. ამ ჭაურის სანგრევი კი თითქმის 5 კილომეტრის ნიშნულს აღწევს და თანაც ვერტიკალურისაგან ბარე 400 მეტრით გადაიხრება.

დახრილი ჭაბურღილების გაყვანის საიდუმლო ლამბაროვს თავისმა პირველმა დამრიგებელმა, მთელ ქვეყანაში ცნობილმა მბურღავმა აღა ნეიმატულიმ შეასწავლა, რომელსაც ამ მეთოდის შემუშავებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. შეგირდი ოსტატს დაემსგავსა: ზღვაში საბურღი სამუშაოების ახალი ტექნიკის ათვისებისათვის აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ახლა მ. ლამბაროვს თავისი შეგირდები ჰყავს.

„ჩვენი დევიზია: ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ — წააწერა საბურღზე მიმაგრებულ ტრანსპარანტს ლამბაროვის ბრიგადამ, და ყველას სჯერა, რომ ასეც იქნება. სოციალისტური შრომის გმირის მ. ლამბაროვის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გადავიდა ბრიგადულ იჯარაზე და წელს თვე-ნახევრით ადრე ჩააბარა ერთი ჭაბურღილი. ამასთან სახელმწიფოს 5 ათას მანეთზე მეტი დაუზოგა. გრაფიკზე თითქმის ერთი თვით ადრე გაჰყავთ აგრეთვე ახალი ჭაბურღილი. ისეთი ნავთობსარეწი ესტაკადები, როგორზეც შრომობს მ. ლამბაროვი, კასპიის ზღვაზე თითქმის 350 კილომეტრზეა გადაჭიმული.

აზერბაიჯანის მენავთობეები, რომლებსაც ნავთობის საბადოების დამუშავების დიდი გამოცდილება აქვთ, ეხმარებიან თურქმენ კოლეგებს. მათი დახმარებით ჩელეკენში საზღვაო-სადაზვერვო ბურღვის ბაზა შეიქმნა. ზღვაში პირველი ფოლადის საყრდენი აშენდა კოშკურებისათვის და უკვე პირველი ჭაბურღილებიც გაბურღულია.

ბაქოდან თურქმენეთის ნაპირებისაკენ გაემართა მძლავრი მცურავი საბურღი „ხაზარი“, რომელმაც კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებთან აღმოაჩინა ნავთობის პერსპექტიული საბადო. ზღვის წიაღის აზერბაიჯანელი მზვერავები მუშაობდნენ აგრეთვე დაღესტნის და ყაზახეთის ნაპირებთან.

ესტაკადები, რომლებსაც ეხეთქებიან კასპიის ზღვის ტალღები, ჩვენი მუშური მეგობრობის სიმბოლოა, თქვა მ. ლამბაროვმა, თითქოს შეაჯამაო ჩვენი საუბარი.

სარედაქციო
დედამიწის
ირგვლივ
სატელეგრაფო

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაუწყებენ

ფაქტები მოვლენები

13 სექტემბერი

ბაზრობა გაიხსნა

ვენა. მსოფლიოს 43 ქვეყნის დროშები ფრიალებს საგამოფენო ქალაქში, რომლის პავილიონები გადაჭიმულია ავსტრიის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში. დღეს აქ გაიხსნა საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა, რომელზეც წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 3700-ზე მეტი საგარეოსავაჭრო ორგანიზაციისა და ფირმის მრეწველობის პროდუქციის საუკეთესო ნიმუშები. ბაზრობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები, განვითარებადი ქვეყნები, კაპიტალისტური სახელმწიფოები.

საბჭოთა ექსპოზიცია იხსნება ლამაზად გაფორმებული სტენდით, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომას, მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკების მიღწევებს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 60 წლის მანძილზე.

საგარეო-სავაჭრო გაერთიანებათა სტენდებზე განლაგებულია საბჭოთა სამრეწველო საწარმოების მიერ დამზადებული ჩარხები, ტექნიკური აპარატურა, ელექტრონული ხელსაწყოები. აქვეა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „ინტერკოსმოს-1"-ის მოდელი — კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის სიმბოლო, აგრეთვე მასალები „სოიუზ ტ-7" საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ფრენის შესახებ.

წელს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახს ვენის ბაზრობაზე წარმოადგენს საქართველოს სს რესპუბლიკა. რესპუბლიკის ექსპოზიციები და სტენდები აჩვენებენ მისი სამრეწველო პროდუქციის ნიმუშებს, სახალხო რეწვის ნაწარმს, ასახავენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის ხელოვნებასა და კულტურას.

● ●

„ლუმანიტეს" დღესასწაული დამთავრდა

პარიზი. პარიზის გარეუბან კურნევის პარკში დამთავრდა ფრანგ კომუნისტთა გაზეთის „ლუმანიტეს" ტრადიციული დღესასწაული. როგორც ყოველ წელს, ქვეყნის ამ ყველაზე პოპულარულ დღესასწაულს ორ დღეში ეწვია ასიათასობით პარიზელი და დედაქალაქის სტუმარი. იგი გახდა დიდი პოლიტიკური მოვლენა. წელს დღესასწაული მიმდინარეობდა დემოკრატიულ გარდაქმნათა პოლიტიკის განგრძობისათვის, ეკონომიკური კრიზისიდან საფრანგეთის გამოყვანისათვის საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვის ლოზუნგით.

დღესასწაულის მთავარი მოვლენა გახდა მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ფ. ერცოგი. მიმართა რა ათიათასობით მის მონაწილეს, მან ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტები აქტიურ როლს ასრულებენ ახალი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელსაც მხარი დაუჭირა ფრანგთა უმრავლესობამ.

ფ. ერცოგი მიესალმა დღესასწაულზე ჩამოსულ სხვა ქვეყნების კომუნისტური პრესის წარმომადგენლებს, მათ შორის „პრავდის" დელეგაციას. ფრანგ კომუნისტთა და მშრომელთა სახელით მან სოლიდარობა გამოუცხადა პლანეტის პროგრესული ძალების ბრძოლას თავისუფლებისა და აყვავებისათვის, მშვიდობისა და განიარაღებისათვის.

გმობენ ისრაელის აგრესიას

ვარშავა. პოლონეთი და ლიბია გმობენ ისრაელის აგრესიას ლიბანის წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები ამ ქვეყნის ტერიტორიიდან, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ლიბიის რევოლუციის ლიდერის, ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის მეთაურის მ. კადაფის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგების შესახებ. მ. კადაფი მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. იარუზელსკიმ.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მხარეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ხალხთა წარმატებული განვითარების მთავარი პირობაა მშვიდობა, საერთაშორისო დაძაბულობის პროცესის თანამიმდევრული რეალიზაცია და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.

დანიის ახალი მთავრობა

კოპენჰაგენი. აქ გამოაცხადეს დანიის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კონსერვატიული სახალხო პარტიის თავმჯდომარე პოულ შლუტერი. მის კაბინეტში შევიდნენ ოთხი ბურჟუაზიული პარტიის — კონსერვატიული სახალხო პარტიის, ვენსტრეს, ცენტრის დემოკრატების და ქრისტიანული სახალხო პარტიის წარმომადგენლები.

პ. შლუტერის ახალ კაბინეტს ჯერჯერობით არ გამოუცხადებია, რა ღონისძიებებით აპირებს ერთგნული ეკონომიკა გამოიყვანოს კრიზისიდან. მაგრამ თვით შლუტერისა და სამთავრობო კოალიციის სხვა პარტიათა ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა ადრინდელი განცხადებებით, აგრეთვე პრესის ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, ბურჟუაზიული მინისტრები აპირებენ განახორციელონ „მკაცრი ეკონომიის" კურსი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეეცდონ ეკონომიკური კრიზისი დაძლიონ მოსახლეობის მშრომელი ფენების ხარჯზე.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა დღეს მოიწვია მინისტრთა ხაბჭოს სხდომა, რომელზეც, კერძოდ, განიხილეს ამერიკის შეერთებულ შტატებში „ტრაიდენტ-2" სისტემის საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტების შესყიდვასთან დაკავშირებული ინგლისის სამხედრო ხარჯების საკითხი. წინასწარი შეფასებით, კონსერვატორთა ახალი სამხედრო პროგრამა გადასახადის გადამხდელებს 7,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ.

როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, მთავრობის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე კონსერვატორთა ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგია საყოველთაო არჩევნების წინ, რომელიც 1984 წელს გაიმართება. ბრიტანეთის კაბინეტმა განიხილა სოციალური პროგრამების შემდგომი შეკვეცის გზით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის მთავრობის მთელი რიგი გრძელვადიანი ღონისძიებანი, რასაც პრესის აზრით, უთუოდ მოჰყვება მილიონობით ინგლისელის ცხოვრების დონის დაქვეითება.

ნიუ-იორკი. ამერიკის შახტებში კატასტროფათა რიცხვი წელს მკვეთრად გაიზარდა. ქვანახშირის კორპორაციათა გაუმაძღრობას, რომლებიც ვერ იმეტებენ სახსრებს სანგრევებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, უკვე მოჰყვა 89 მაღაროელის დაღუპვა. კორპორაციებთან ერთად ამაში ბრალი მიუძღვის რეიგანის ადმინისტრაციასაც, თქვა მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დ. დევიდსონმა, რადგან მის პოლიტიკას მოჰყვა ინსპექტორთა რიცხვის შემცირება, რომლებიც თვალს ადევნებენ შახტების მფლობელთა მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

მიიღება მასალები

ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის პრემიების მოსაპოვებლად

ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისია იღებს მასალებს 1983 წლის პრემიების მოსაპოვებლად. მასალები მიიღება 1983 წლის 1 იანვრამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წამოყენებულ იქნენ იმ მუშაკთა კოლექტივები, რომლებმაც უშუალოდ შეიმუშავეს ყველაზე თვალსაჩინო პროექტები და ამ პროექტებით ააშენეს საწარმოები (საწარმოთა ჯგუფები), შენობები და ნაგებობები, შეიმუშავეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების პროექტები;

დაამუშავეს სამეცნიერო პრობლემები და მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევები დანერგეს მშენებლობის, არქიტექტურის, საშენი მასალების, მშენებლობისა და საგზაო მანქანათმშენებლობის დარგში.

აღნიშნული ნამუშევრები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვეს, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველყოფდეს შრომისა და წარმოების მაღალეფექტიან ორგანიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვასა და რაციონალურ გამოყენებას, მასალატევადობისა და ღირებულების შემცირებას, შრომის ხარისხის გაუმჯობესებასა და ნაყოფიერების გაზრდას, მშენებლობაში ორგანიზაციის, ტექნოლოგიისა და მართვის სრულყოფას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნამუშევრების ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენა არ შეიძლება.

კოლექტივების წამოყენებასა და მასალების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისიას მისამართით: 103828, მოსკოვი კ-9, მარქსის პროსპექტი, 12 (სსრ კავშირის სახმშენი).

ტელეფონები ცნობებისათვის: 292-62-49 292-61-10.



„მზიური" — ბავშვთა ქალაქი

ასე ეწოდება მრავალფუნქციურ გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითს კომპლექსს, რომლის მთავარი შესასვლელი ილია ჭავჭავაძის პროსპექტის ცენტრში იწყება და...

ამ ახალი ვრცელი და ლამაზი ბავშვთა ქალაქის ტერიტორიას დღესდღეობით რვა ჰექტარზე მეტი ფართობი მოუცავს. აქ მოეწყობა კომპლექსის მთავარი საზეიმო მოედანი, დედათა და ბავშვთა პარკი, ყვავილთა სამყარო, ბუნების სასახლე, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, შემოქმედებითი სტუდიები და სხვა.

მართლაც რომ, ყოველმხრივ მიმზიდველი იქნება ბავშვთა ქალაქი, რომელიც მომავალში მოზარდთა უსაყვარლესი ადგილი გახდება. შესასვლელშივე ნორჩებს შემოეგებებიან ზღაპრული პერსონაჟები — ბურატინო და დონ კიხოტი, ფასკუნჯები და დათუნიები, მელაკუდა და სხვა ცხოველები, რომლებიც ასე ძალუმ დაპატრონებიან მათ გულსა და გონებას; აგერ დიდი სკულპტურული ფარდაც, რომელზედაც მზეჭაბუკი ჩამომჯდარა მტრედებით მხარზე...

ახლა ბავშვთა ქალაქში დიდი მშენებლობაა. მომავალში იგი სპეციალური ხიდით დაუკავშირდება ზოოპარკს, რის შემდეგაც მდინარე ვერეს ხეობა მთლიანად შევა ბავშვთა ქალაქის ანსამბლში.

აი, ასეთ საინტერესო ნობათს უმზადებს ნორჩებს „საქქალაქმშენსახპროექტის" არქიტექტორთა ჯგუფი, პროექტის მთავარი ავტორების — ირაკლი მასხარაშვილის, ლევან კილაძის, გია აბულაძისა და ბიძინა ჩიგოგიძის მეთაურობით. „მზიურის" მთავარი მხატვარია გია ჯაფარიძე.

ს. კილაძე.
ავტორის ფოტო.

კურორტის ბალდა-ბოსტანი

ცხაკაია. (ბ. მილიუტინი). მენჯი საქვეყნოდ ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტია (დირექტორი გ. ღვინჯილია). კურორტის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას აქცევს დამხმარე მეურნეობას. ბალჩა-ბოსტანი მოწყობილია 1,5 ჰექტარზე, პამიდორს უკავია 2.000 და კომბოსტოს 3.500 კვადრატული მეტრი. კურორტის კვების ბლოკს აჭაური მებოსტნეები შეუფერხებლად აწვდიან სხვადასხვაგვარ ხარისხოვან ბოსტნეულს.

საქართველოს მხატვართა ყრილობის წინ

გამოიცა მოსკოვში

„ქართულ მიწას არაერთი მადლმოსილი ადამიანი აღუზრდია, მათ რიცხვს ეკუთვნის ჩვენი დროის გამოჩენილი ხელოვანი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძე" — ასეთი წინათქმა აქვს ცნობილი ქართველი მხატვრისადმი მიძღვნილ ახლახან მოსკოვის გამომცემლობა „იზობრაზიტელნოე ისკუსტვოს" მიერ დაბეჭდილ ალბომს, რომლის ტექსტის ავტორია სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრი ანდრია კონსტანტინეს ძე ლებედევი.

გამოჩენილი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნე ა. ლებედევი აღნიშნავს, რომ უჩა ჯაფარიძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები გამოირჩევა ინდივიდუალობით, ხელწერის ეროვნული თავისებურებებით, ნატიფი მხატვრული კომპოზიციებით, მგზნებარე ტემპერამენტით, ოსტატური მიგნებით, მხატვარი დიდი სიმართლით წარმოსახავს კომუნიზმის მშენებელი ადამიანების სულიერ სამყაროს, მათს ცხოვრებას, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას. ისინი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ ადამიანს.

მეცნიერი განაგრძობს: „უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ადამიანს უჭირავს. მხატვრის სურათებში შესანიშნავია ი. გაგარინის, შ. ამირანაშვილის, ვ. ბერიძის, კ. კეკელიძის პორტრეტები.

ავტორს განსაკუთრებული სითბო აქვს ჩაქსოვილი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის პორტრეტში. მას აქ ალვიქვამთ ტრიბუნად, დიდ მოაზროვნე ადამიანად.

დიდი ლირიკულობითა და კოლორიტულობით გამოირჩევა კომპოზიციები „თუში მეცხვარე", „მძინარე მეცხვარე", „თუში", „თუში გოგონები" „ქალი სოფელ ლებიდან". „თანამგზავრი", „ძველი თბილისის მიდამოები".

მხატვრის ძალა ხხივდება ქართველი ერის საუკეთესო შვილების ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, იოსებ იმედაშვილის და სხვათა პორტრეტებში.

მიმზიდველი და წარმტაცია უჩა ჯაფარიძის „დედის პორტრეტი", „დაჭრილის მოწოდება" „უმანგო ჩხეიძის პორტრეტი", „მეუღლის პორტრეტი".

კოლორიტულია და სათნოებით სავსეა კომპოზიციები „მარინე", „ყრმობის მეგობრები", „ახალგაზრდა იმერელი", „სოჩხერელი", „მოხუცის პორტრეტი", ბედის ფიქრები", „საყვედური", „ჩაფიქრებული კოლმეურნე", „ხარი", „გულითადი საუბარი" „კოლმეურნე გორიდან".

რევოლუციური სულისკვეთებით გამოირჩევა უჩა ჯაფარიძის „პირველი მაისის დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს".

ეს მრავალფიგურიანი სურათი ადამიანს ნათლად წარმოუდგენს ქართველი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების შექმნისათვის საქართველოში.

ალბომი უხვად არის ილუსტრირებული ფერადი და შავ-თეთრი რეპროდუქციებით. ისინი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა დასტამბული.

წიგნში დაბეჭდილია უ. ჯაფარიძის სტატია „ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე", მხატვრის შემოქმედებისა და ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები.

ალბომი მართლაც კარგი საჩუქარია სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის, უჩა ჯაფარიძის შემოქმედების თაყვანისმცემელთათვის.

ს. ნაციაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ყაზახეთი

სიმხნევისა და ჯანმრთელობის ზეიმი

12 სექტემბერს — მორბენლის საკავშირო დღეს მთელი ჩვენი რესპუბლიკა მართლაც ერთ დიდ სტადიონად იქცა. ეს დღე როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, სოფლად თუ მცირე დასახლებაში ფართოდ აღინიშნა. რაიონულ ცენტრებში მოეწყო კროსები, რბენა სხვადასხვა დისტანციებზე, მზთ ნორმატივების ჩაბარება. ასე, მაგალითად, ბაზალეთის ტბაზე მოეწყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების" პრიზზე მასობრივი მძლეოსნური კროსი. ქუთაისში მორბენალთა დიდ ზეიმში მონაწილეობა მიიღო 80 ათასამდე სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანმა. რუსთაველებს ამ დღეს მრავალფეროვანი სპორტული პროგრამა ჰქონდათ. მოეწყო მოსწავლეთა მძლეოსნური ესტაფეტა და მასობრივი გარბენი ქალაქის ქუჩებში, რომელშიც ყველა ასაკის მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა. ასეთივე სპორტული ზეიმები გაიმართა სოხუმში, ბათუმში, თელავში, გორში... ყველგან დიდი და პატარა რბენის დისტანციებზე დადგა, ბევრმა ახალბედამ იგრძნო რბენის სიკეთე, რამაც ბევრს გადააწყვეტინა, რომ ამიერიდან რეგულარულად იმეცადინოს ფიზკულტურასა და სპორტში.

განსაკუთრებით დატვირთული და ფართო პროგრამა ჰქონდათ თბილისელებს. დედაქალაქის ყველა რაიონში მოეწყო მძლეოსნური გარბენები. ამის მოწმე იყო ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი, ვ. კიკვიძის სახელობის პარკი, სტადიონი „სიხარული", ქალაქის ძველი უბანი რიყე, ფუნიკულიორის პლატო, კუს ტბა, „ლოკომოტივის" სტადიონი, იპოდრომი, ი. ბ. სტალინის სახელობის სანაპირო, ავჭალის გზატკეცილი... რბენის გარდა ქალაქის ბაზებში გაიმართა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი.

მორბენლის საკავშირო დღე ჩვენს რესპუბლიკაში გადაიქცა სპორტის, სილამაზისა და ჯანმრთელობის ნამდვილ დღესასწაულად. რესპუბლიკის მშრომელებმა ფიზკულტურის დღე [illegible] იყო მართლაც შთამბეჭდავი ღონისძიება. გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქამდე არც ერთ მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებას არ გამოუწვევია მოსახლეობაში ასეთი დიდი გამოძახილი.

● ●

სურათზე: მასობრივი გარბენი თბილისის ქუჩებში.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

მეტი შემართება გვმართებს

ათენში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელიც ძალების მნიშვნელოვანი შემოწმება გახლდათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის წინ. ამჯერად ჩვენი მძლეოსნობის გამოსვლას დადებით შეფასებას ვერ მივცემთ, ვინაიდან ამ სახეობის სპორტის წარმომადგენელთაგან გაცილებით მეტს ველოდით. მართალია, შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს ს. ულმასოვამ (3000 მეტრზე რბენაში), ი. სედიხმა (უროს ტყორცნაში), მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ჩვენმა სპორტსმენებმა ხომ მხოლოდ 6 ოქროსა მედალი მოიპოვეს, მაშინ როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები 13 პირველ პრიზს დაეუფლნენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსნებმა კი 8 ოქროს მედალი დაიმსახურეს. ჩვენმა სპორტსმენებმა შესაძლებლობაზე დაბალი შედეგები გვიჩვენეს სამხტომში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, შუბის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, სპორტულ სიარულსა და მრავალჭიდში.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

6 წლის შემდეგ

თბილისელ გულშემატკივრებს უთუოდ ახსოვთ ქალთა საზონათშორისო ტურნირი, რომელიც 1976 წელს ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. ბრძოლა უკიდურესი სიმძაფრით გამოირჩეოდა. პრეტენდენტთა ასპარეზობის ერთ-ერთი საგზური 15 წლის მაია ჩიბურდანიძეს დარჩა, რომელმაც ამ წარმატებით დიდოსტატის კვერთხიც" მოიპოვა.

და აი, 6 წლის შემდეგ 16 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი კვლავ იყრის თავს თბილისში პრეტენდენტთა პაექრობაში მონაწილეობის უფლებისათვის საბრძოლველად. ახლა, როდესაც ცნობილია ამ მატჩების 5 მონაწილე (ალექსანდრია, იოსელიანი, გაფრინდაშვილი, სემიონოვა, ლემაჩკო), შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი დარჩენილი სამი ადგილისათვის.

რას უნდა მოველოდეთ თბილისის საზონათშორისო ტურნირში?

16 მონაწილიდან ხუთს (ახმილოვსკაიას, ლევიტინას, გურიელს, ვერეცისა და ფიშდიკს) ადრეც უთამაშია პრეტენდენტთა მატჩებში. ცხადია, ისინი ახლაც ამ მიზანს ესწრაფვიან. ახმილოვსკაია ახლა სოჭში ცხოვრობს. თქმა არ უნდა, იგი ერთ-ერთ უძლიერეს საბჭოთა მოჭადრაკედ უნდა ჩაითვალოს. 1977 წელს მას გზა გადაუღობა მაია ჩიბურდანიძემ, 1980 წელს — ნანა ალექსანდრიამ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ახმილოვსკაიას თამაშმა მაშინაც ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ახლა უკეთ იქნება მომზადებული. ახმილოვსკაიას თამაში გამოირჩევა დიდი შეუპოვრობით, ტაქტიკური გამჭრიახობით. თანდათანობით მისი სადებიუტო მომზადების დონე ამაღლდა. ყოველივე ეს მიმომხილველებს აფიქრებინებს, რომ ახმილოვსკაია თბილისის ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

მეორე ფავორიტად ლევიტინაა მიჩნეული. ბოლო 5 საკავშირო ჩემპიონატში ლენინგრადელმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. ლევიტინას პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, გაიმარჯვა არაერთ საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირში. მისი თამაში გამოირჩევა ინიციატივისაკენ მისწრაფებით და კარგი ტექნიკით. ლევიტინასთან კარგა ხანია თანამშრომლობს ცნობილი თეორეტიკოსი კონდრატიევი, რომლის შემწეობითაც ლენინგრადელ დიდოსტატს საკმაოდ ფართო და კარგად დამუშავებული რეპერტუარი აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლევიტინა ყოველივეს იღონებს საპრიზო სამეულში მოსახვედრად.

უნგრეთის უძლიერესი მოჭადრაკე ვერეცი-პეტრონიჩი თეორიის კარგი მცოდნეა და ფრიად გამოცდილიც. იგი ხომ მთელი წლის მანძილზე თითქმის განუწყვეტლივ მონაწილეობს საერთაშორისო თუ უნგრეთის ტურნირებში, ზოგჯერ ვაჟებთან ერთადაც თამაშობს. ვერეცის ნაკლად ჩაითვლება არასაკმარისი საბრძოლო შემართება და ყაიმებისადმი მიდრეკილება. ამასთან ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ თბილისში, სადაც ყაიმებით ბევრს ვერაფერს გახდება, ვერეციმ უფრო აგრესიულად, შემტევი მანერით ითამაშოს.

ის, რაც ვერეცის აკლია, უხვად აქვს მომადლებული ნინო გურიელს. ნინო თამაშობს მწვავედ, მკვეთრად გამოხატულ შემტევი სტილით, არ ერიდება შეწირვებს, ბრძოლას, რომ იტყვიან, „უკანასკნელ პაიკამდე" აგრძელებს. ეს, ვფიქრობთ, გარკვეულ უპირატესობას მისცემს მას ისეთი „შერეული" ტიპის (სადაც უძლიერეს დიდოსტატებთან ერთად ნაკლებად ძლიერი ოსტატებიც გამოდიან) შეჯიბრებაში, როგორიც თბილისის საზონათშორისო ტურნირია. ნინოს ამჯერად მუდმივ მწვრთნელ ოსტატ ჩიქოვანთან ერთად, ეხმარებოდა ცნობილი თეორეტიკოსი, საერთაშორისო ოსტატი ოსნოსიც. ნინოს სტილის მოჭადრაკეებს სხვებზე მეტი ენერგია ეხარჯებათ. ამიტომ ყოველთვის დგება საკითხი, ბოლომდე გაუძლებენ თუ არა ისინი სატურნირო დაძაბულობას. ახლა, ვფიქრობთ, ამაზეც იქნება დამოკიდებული გურიელის სატურნირო შედეგი.

ფიშდიკი (გფრ) 1980 წელს პრეტენდენტთა მატჩში ლიტინსკაიას სამი ქულით (!) უსწრებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. თბილისის ასპარეზობამ უნდა გვიჩვენოს, რა პროგრესი აქვს ახალგაზრდა დიდოსტატს. ტიტორენკომ და მინოგინამ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღეს. ახლა მათ პირველად მოუწევთ ესოდენ მაღალი დონის შეჯიბრებაში თამაში და უნდა ვიფიქროთ სერიოზულად იქნებიან მომზადებულნი.

ახლა ზოგი რამ სხვა მონაწილეებზე. ინდოელი რ. კადილკარი თავის ორ დასთან ერთად პირველად გამოჩნდა 1978 წლის ბუენოს-აირესის ოლიმპიადაზე და მაშინვე ყურადღება მიიქცია. დებმა ღირსეულად დაიცვეს ჭადრაკის სამშობლოს — ინდოეთის სახელი. ამავე ასპარეზობაში პირველად (და ძლიერად) ითამაშა ჩინელმა შილანმაც, იუგოსლაველი პიხაილიჩი, ისევე, როგორც მისი ახალგაზრდა თანამემამულე ნიკოლინი, თბილისში ჩამოდის ზონალურ ტურნირში წარმატების შემდეგ (სადაც, სხვათა შორის, მარცხი იგემა ამ ქვეყნის № 1-მა მოჭადრაკემ, ცნობილმა დიდოსტატმა ლაზარევიჩმა). 1976 წელს თბილისში თამაშობდა ამერიკის შეერთებული შტატების № 1 მოჭადრაკე სევერაიდი, რომელიც მალე თავისი ქვეყნის გუნდს უხელმძღვანელებს საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ფრიად გამოცდილია რუმინელი მურეშანიც.

თბილისის ასპარეზობა 14 სექტემბერს იწყება და 10 ოქტომბრამდე გასტანს. იგი, უეჭველად, დიდ ინტერესს გამოიწვევს.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მოსკოვის საზონათშორისო შეჯიბრებაზე ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობს ტალი. კასპაროვს 3,5 ქულა აქვს.

ოქროს მედლებით ბრუნდებიან

ორი მსოფლიო ჩემპიონი საქართველოს მკვიდრია

სასიხარულო ცნობა მოვიდა პოლონეთის ქალაქ კატოვიციდან, სადაც გასულ კვირა დღეს დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ქართველმა ათლეტებმა — თბილისელმა თემო ყაზარაშვილმა (48 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) და ქუთაისელმა თეიმურაზ აფხაზავამ (82 კგ) ჩინებულად იასპარეზეს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. საბჭოთა გუნდიდან კიდევ ორმა სპორტსმენმა იზეიმა ასეთივე გამარჯვება: ზაპოროჟიელმა გენადი ერმილოვმა (68 კგ) და ერევნელმა ბენურ პასაიანმა (52 კგ).

საბჭოთა ნაკრებმა საერთო-გუნდური პირველობა მოიპოვა (46 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლონელები (31), მესამეზე — ბულგარელები (30 ქულა).

სურათებზე: თ. ყაზარაშვილი (ზევით) და თ. აფხაზავა.

● ●

„ნაპოლი" თბილისშია

გუშინ თბილისში, ჩამოვიდნენ იტალიის საკლუბო გუნდის — „ნაპოლის" ფეხბურთელები. დღეს ისინი ივარჯიშებენ, ხვალ კი უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტეფინალის პირველ მატჩში მეტოქეობას გაუწევენ თბილისის „დინამოს".

გათამაშების ცხრილი

გასულ კვირა დღეს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის ბოლო სამი შეხვედრა. გთავაზობთ შედეგებს: „ფახთაქორი"-„ყაირათი" — 0:0, „არარატი"-„მეტალისტი" — 0:0, „ჩერნომორეცი"-„ყუბანი" — 1:0. დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (თბ)	24	13	6	5	48-38	32
„დინ." (კვ)	23	13	6	4	38-23	32
„სპარტაკი"	24	12	7	5	40-21	31
„არარატი"	25	10	8	7	34-34	28
„დინ." (ქ)	22	10	7	5	35-17	27
„მეტალის."	25	10	7	8	28-24	27
„ჩერნომ."	24	8	10	6	22-20	26
„დნეპრი"	25	8	9	8	29-32	25
„ზენიტი"	24	8	8	8	30-28	24
„ფახთაქ."	24	8	8	8	29-31	24
„დინ." (მ)	25	9	5	11	31-33	23
„ტორპ." (მ)	24	8	5	11	23-27	21
„ყუბანი"	24	7	7	10	27-32	21
„ნეფთჩი"	24	8	4	12	32-46	20
ცსკა	25	7	6	12	29-37	20
„ყაირათი"	24	5	9	10	25-35	19
„ტორპ." (ქ)	24	5	7	12	30-39	17
„შახ."	24	5	7	12	26-39	17

ტელევიზია

14 სექტემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.55 — მულტფილმი. 10.45 — ეკრანზეა კინოკომედია. „ყუბანელი კაზაკები". 12.45 — მ. გლინკა — „დიდი სექსტეტი". 13.05 — და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — კინოპროგრამა. 16.40 — რუსული ენა. 17.10 — ობიექტივი. 17.45 — ბურატინოს გამოფენა. 18.15 — სამეცნიეროპოპულარული ფილმი „დიდი გმირობა". 18.35 — უკრაველი იუგოსლავი პიანისტი რიტა კინკა. 19.00 — ადამიანი და კანონი. 19.30 — მხიარული ნოტები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 დ. მინკუსის ბალეტის „დონ კიხოტის" ნაწყვეტი. 20.20 — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის ერთიან ოჯახში. ესტონეთის სსრ. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფეხბურთი უეფას თასზე. 1/32 ფინალი. მოსკოვის „სპარტაკი" — ინგლისის „არსენალი". 00.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „ვეტერანები". 9.35 და 10.35 — ისტორია. მეხუთე კლასი. 10.05 და 13.45 — ფრანგული ენა. 11.05 — ს. პროკოფიევი — ბალეტი „გერია". 11.35 და 12.50 — ბოტანიკა. მეხუთე კლასი. 11.55 და 19.20 — სამეცნიერო პოპულარული ფილმები 12.20 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — მ. ლუკონინის პოეზია. 14.15 — ძველი რუსეთის ხელოვნება. პირველი გადაცემა. 14.45 — ხუთწლედი — ჩემო ახალგაზრდობავ. 15.30 — ა. მ. გორკი. ადრეული მოთხრობები. 19.00 — ახალი ამბები 19.35 — ერთი კვირის სპორტული ამბები. 20.05 — „ოპერაცია „სამხრეთი". დოკუმენტური ტელეფილმი ციკლიდან „სოფლური მოთხრობები". პირველი ფილმი. 21.00 — „მილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ეს ოქვენ შეგიძლიათ. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „დედამიწელი ადამიანი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — კინონარკვევი „ბუნება და ქალაქი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მშობლიური ნაპირები". 11.00 — „ამაგდარი" — ა. კალანდაძე. 11.40 — ქართული მხატვრული ფილმი. 17.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ამბავი პირველკლასელებისა". 18.05 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება" — ყირგიზეთი. 18.45 — „საქართველოს მხატვართა ყრილობის შესახვედრად" — დოკუმენტური ფილმები „საუკუნის ძახილი" და „მზიური ფრესკები". 19.25 — ახალგაზრდობისათვის „თუშური ჩანახატები". 19.45 — „მოამბე". 20.20 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ერთიან ოჯახში" — ესტონეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ფეხბურთი „უეფას" თასზე. 1/32 ფინალი. მოსკოვის „სპარტაკი" — ინგლისის „არსენალი". (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „იპოვე საკუთარი თავი". 17.40 — განცხადებები. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მემკვიდრეობა", „უსტიურდსკის მუფლონები" და „ნოვგოროდი". 18.55 — მხატვრული ფილმი — „შენს თვალებში არეკლილი სამყარო".

რედაქტორის მოადგილე ლ. კიკნაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68484 უე 08456 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20